ევროკავშირი საქართველოსთვის
Project funded by the European Union

HEKS EPER

მცირე საგრანტო კონკურსი

საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის

საერთაშორისო ორგანიზაცია „HEKS-EPER GEORGIA“, ევროკავშირის (EU) ფინანსური ხელშეწყობით **პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში თანაბარი და სრულყოფილი მონაწილეობისთვის“** ფარგლებში აცხადებს საგრანტო კონკურსს საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფებისთვის.

საგრანტო კონკურსის მიზანია ადგილობრივ და რეგიონულ სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების/საინიციატივო ჯგუფების/ქსელების მიერ, თემებში მტკიცებულებებზე დაფუძნებული **ადვოკატირების აქტივობების განხორციელება,** ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ ქალებისა და ახალგაზრდების სამოქალაქო ჩართულობის ხელშეწყობაზე აქცენტირებით.

კონკურსის ფარგლებში ქვემო ქართლის და სამცხე-ჯავახეთის 6 მუნიციპალიტეტში (მარნეული, ბოლნისი, დმანისი, ახალციხე, ახალქალაქი და ნინოწმინდა) გაიცემა 20 გრანტი. გრანტის მოცულობა შეადგენს საშუალოდ 7000 (შვიდიათასი) ლარს (მინიმალური მოცულობა 2800 ლარი, ხოლო მაქსიმალური 14 000 ლარი)

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და საინიციატივო ჯგუფებს.

გრანტები გაიცემა ინიციატივებზე, რომლებიც ორიენტირებული იქნება:

მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ადვოკატირების კამპანიებზე, ასევე კარგი მმართველობის სტანდარტების პრაქტიკაში დანერგვაზე, შემდეგი მიმართულებების მიხედვით:

- თემის მობილიზაციის აქტივობები განსაკუთრებული აქცენტით ახალგაზრდების და ქალების ჩართულობაზე მათი საჭიროებების, პრიორიტეტების ადვოკატირებისთვის;
- გენდერული მეინსტრიმინგი ადვოკატირებაში, მედია-ადვოკატირებაში, სტრატეგიასა და დაგეგმარებაში, ციფრულ სივრცეში, მობილიზაციასა და პოპულარიზაციის კამპანიაში;
- თვითმმართველობის ინფორმაციის გამჭვირვალობასა და ხელმისაწვდომობის გაზრდა. განსაკუთრებით კი ეთნიკური უმცირესობისათვის ხელმისაწვდომობაზე;
- სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლების მხრიდან უკუკავშირის მექანიზმების პრაქტიკაში დანერგვა, მიღებული შედეგების მონიტორინგი და შეფასება;
- სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებს შორის და ადგილობრივ ხელისუფლებასთან დიალოგის ხელშეწყობა.

საპროექტო განაცხადი ფოკუსირებული უნდა იყოს გენდერული ბიუჯეტირების თანამონაწილეობით შემუშავებაზე ეთნიკური უმცირესობების ინტერესების გათვალისწინებით.

ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს **10 თვეს (2023 წლის მარტიდან დეკემბრის ჩათვლით)**.

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა, მოთხოვნილი დოკუმენტები უნდა წარადგინონ **2023 წლის 30 იანვრის ჩათვლით, ელექტრონული ფორმით, შემდეგი ელ. ფოსტის მისამართზე:** giorgi.tvaliashvili@heks-eper.org წერილის ველში (Subject) მიუთითეთ ორგანიზაციის სახელწოდება და „Advocacy Grant“.

საგრანტო კონკურსის შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად, 2023 წლის 17 იანვარს, სამშაბათს, 17:00 საათზე გაიმართება ვებინარი პლატფორმა „ზუმის“ (zoom.us) გამოყენებით. ვებინარზე დასასწრებად გთხოვთ შეავსოთ განაცხადი: https://forms.gle/rkFupQXuTNUCcTtA6

პროექტის შესახებ ინფორმაცია და საგრანტო განაცხადის ფორმა

გთხოვთ იხილოთ Facebook გვერდზე www.facebook.com/projectKKSJ/

SCCSF

1. ინფორმაცია პროექტის შესახებ

პროექტი

სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება
სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში
თანაბარი და სრულყოფილი მონაწილეობისთვის

პროექტი ითვალისწინებს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა გაძლიერებას, რათა გაიზარდოს სამოქალაქო საზოგადოების როლი ადამიანის უფლებებისა და ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობის მიმართულებით ბიუჯეტირებისა და პოლიტიკის შემუშავების პროცესებში აქტიური და შედეგზე ორიენტირებული ჩართულობის მიზნით. პროექტი ხელს შეუწყობს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების და მედია საშუალებების გაძლიერებას, ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებასთან დიალოგისა და ზეგავლენის განხორციელების მიზნით, რათა უზრუნველყოფილი იყოს საჭიროებებზე მორგებული და ინკლუზიური მმართველობის სტილი. აგრეთვე გაძლიერდება მცირე და საშუალო ბიზნესი, რათა გამოყენებული იყოს ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის (DCFTA) შეთანხმების შესაძლებლობები.

დონორი:	ევროკავშირი
ვადები:	01/01/2022-30/06/2025
გეოგრაფიული არეალი:	ქვემო ქართლის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების ექვსი მუნიციპალიტეტი (მარნეული, ბოლნისი, დმანისი, ახალციხე, ახალქალაქი და ნინოწმინდა)
განმახორციელებელი:	HEKS-EPER Georgia
რეგიონალური პარტნიორი:	ქვემო ქართლი: სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდი (CIF), სამცხე-ჯავახეთი: სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების ხელშემწყობი ცენტრი (SCCSF)

პროექტი მიზნად ისახავს სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებას, რათა ხელი შეუწყოს გენდერულად მგრძნობიარე, მონაწილეობრივ და მდგრად განვითარებას საქართველოში.

პროექტის ძირითადი მიმართულებებია:

- სამიზნე მუნიციპალიტეტებში ეთნიკური უმცირესობებისა და ფორმალური თუ არაფორმალური სამოქალაქო ორგანიზაციების მონაწილეობა ადგილობრივი ხელისუფლების პროგრამებისა და ბიუჯეტის შემუშავებისა და მონიტორინგის პროსესებში;
- არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მტკიცებულებებზე დაფუძნებული ადვოკატირების კამპანიების განხორციელების ხელშეწყობა, სამთავრობო და სამოქალაქო სექტორს შორის დიალოგის პროცერსის ინსტიტუციალიზაცია და ისეთი პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ითვალისწინებს გენდერულ და ეთნიკური უმცირესობების საჭიროებებს;
- მედიის გაძლიერება პოლიტიკის შემუშავების პროცესებში და პოლიტიკის დიალოგში;
- ეკონომიკური ჩართულობის ხელშეწყობა ბიზნეს სექტორის გაძლიერების საშუალებით.

პროექტის სამიზნე ჯგუფები:

- სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფები და სამოქალაქო აქტივისტები;
- ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები;
- ქალები და ახალგაზრდები;
- ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები;
- რეგიონული/ცენტრალური ხელისუფლება;
- ადგილობრივი მცირე და საშუალო ბიზნესი;
- ჟურნალისტები / მედიის წარმომადგენლები.

ძირითადი აქტივობები:

- არასამთავრობო ორგანიზაციების, საინიციატივო ჯგუფების, ადგილობრივი ხელისუფლებისა და მედიის გაძლიერება და ტრენინგები;
- ფინანსური მხარდაჭერა / საგრანტო პროგრამები - არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის / სამოქალაქო ჯგუფებისა და ინკლუზიური ბიზნესებისთვის;
- ქსელების/პლატფორმების შექმნა;
- ინტერვენციები ბიზნესის განვითარების კუთხით;
- საგრანტო კონკურსი მცირე და საშუალო ბიზნესისთვის.

მოსალოდნელი შედეგები:

- სამიზნე არასამთავრობო ორგანიზაციებს, სამოქალაქო ჯგუფებსა და აქტივისტებს გაუმჯობესებული აქვთ უნარები სამთავრობო და ადგილობრივი თვითამართველობის პოლიტიკაზე ზეგავლენის განხორციელების მიმართულებით, რათა უზრუნველყოფილი იყოს გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის შემუშავება და ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობის ზრდა. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, გაძლიერებული უნდარებისა და მიღებული ცოდნის გამოყენებით, აფიქსირებენ გენდერული და ეთნიკური უმცირესობების საჭიროებებს და ჩართულები არიან პოლიტიკის შემუშავებისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში;
- მიზნობრივ მუნიციპალიტეტებში ფუნქციონირებადი მცირე და საშუალო ბიზნეს ორგანიზაციები იღებენ ინფორმაციას ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის (DCFTA) შესაძლებლობების შესახებ, ხოლო 50 ბიზნეს ორგანიზაცია მიიღებს დახმარებას, რათაგამნორკციელდეს ფინანსებზე და ბაზრებზე ხელმისაწვდომობის ზრდა და ბიზნესის განვითარება;
- იზრდება ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენელთა ინტერესი და უნარები ეთნიკური უმცირესობების საჭიროებების გათვალისწინებისა და გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის შემუშავების მიმართულებით;
- მედია ხელს უწყობს ბენეფიციარფების საჭიროებებზე მორგებული ადვოკატირების კამპანიების მართებულად გაშუქებას.

2. საგრანტო კონკურსის მიზანი და პირობები

შესაძლო ღონისძიებები:

- თემის მობილიზაციის აქტივობები განსაკუთრებული აქცენტით ახალგაზრდების და ქალების ჩართულობაზე მათი საჭიროებების, პრიორიტეტების ადვოკატირებისთვის;
- მონაწილეობრივი ბიუჯეტირების მექანიზმების შემუშავება ან მხარდაჭერა მუნიციპალიტეტის დონეზე;
- საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება მუნიციპალიტეტებში არსებული პრობლემის ირგვლივ;
- დაინტერესებული ჯგუფების გამოვლენა და მობილიზება მუნიციპალური სტრატეგიების განვითრებაში;
- საკომუნიკაციო კამპანიის განხორციელება;
- მუნიციპალიტეტში გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან დიალოგის წარმოება და კომუნიკაციისთვის სხვადასხვა პლატფორმების შექმნა;
- მედია აქტივობები (პრესკონფერენცია, სოციალური მედია კამპანია) და სხვა;
- სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის დიალოგის ხელშეწყობა;
- და სხვა.

კონკურსის ფარგლებში, გაიცემა 20 გრანტი. სულ საგრანტო ფონდი შეადგენს 140 000 ლარს ექვსივე მუნიციპალიტეტისთვის.

აღნიშნული გრანტის ფარგლებში არ დაფინანსდება შემდეგი ხარჯები: ტექნიკის, ინვენტარის შეძენა, ოფისის კომუნალური და ადმინისტრაციული ხარჯები, სწავლის დაფინანსება, და სხვა ხარჯები რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროექტის შედეგის მიღწევასთან.

3. პროექტის შერჩევის კრიტერიუმები

საპროექტო განაცხადის შერჩევის კრიტერიუმებია:

- პროექტის თემატიკის შესაბამისობა და მკაფიო მტკიცებულებების / არგუმენტაციის არსებობა პრობლემისა და მისი მასშტაბის შესახებ;
- მოსალოდნელი შედეგის სიცხადე და მიღწევადობა (მათ შორის მოცემულ ვადებში);
- დეტალური და პროექტის მისაღწევი შედეგის შესაბამისი ღონისძიებების გეგმა;
- მონაწილეობითი მიდგომის ხარისხი (რამდენად ჩართულია სამიზნე ჯგუფები და ბენეფიციარები);
- მოწყვლადი ჯგუფებისა და გენდერული ნიშნით არსებული საჭიროებების ინტეგრირება საპროექტო განაცხადში;
- ბიუჯეტის რელევანტურობა დაგეგმილ ღონისძიებებთან და მისაღწევ შედეგთან.

4. კონკურსში მონაწილოებისთვის წარსადგენი დოკუმენტები

1. შევსებული საპროექტო განაცხადის ფორმა;
2. აპლიკანტი ორგანიზაციის რეგისტრაციის მოწმობის ასლი (არსებობის შემთხვევაში);
3. პროექტში ჩართული 2 თანამშრომლის/პირის პროფესიული რეზიუმე (CV).

საგრანტო კონკურსის შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად, 2023 წლის 17 იანვარს, სამშაბათს, 17:00 საათზე გაიმართება ვებინარი პლატფორმა „ზუმის“ (zoom.us) გამოყენებით. რეგისტრაციისთვის გთხოვთ შეავსოთ ბმული.

დანართი 1

საპროექტო განაცხადის ფორმა

გთხოვთ შეავსოთ წინამდებარე განაცხადის ფორმა შემდეგი პარამეტრების დაცვით: ფონტი: Sylfaen, ზომა: 11, დაშორება: 1.15

ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ	
ორგანიზაციის დასახელება	
ორგანიზაციის/საინიციატივო ჯგუფის ჩამოყალიბების თარიღი	
ორგანიზაციის ხელმძღვანელი	
ორგანიზაციის ხელმძღვანელის საკონტაქტო ინფორმაცია: ტელეფონი, ელ-ფოსტა	
პროექტზე პასუხისმგებელი პირი	
პროექტზე პასუხისმგებელი პირის საკონტაქტო ინფორმაცია: ტელეფონი, ელ-ფოსტა	
საიდენტიფიკაციო ნომერი	
ორგანიზაციის გამოცდილება და განხორციელებული პროექტები *(მაქსიმუმ 150 სიტყვა):*	

საპროექტო განაცხადი
პრობლემის აღწერა (მაქსიმუმ 150 სიტყვა) - *დეტალურად აღწერეთ კონკრეტული პრობლემა, რომლის საპასუხოდაც არის წარმოდგენილი პროექტი. დაასაბუთეთ რატომ არის მნიშვნელოვანი ამ პრობლემის მოგვარება და პროექტის განხორციელება. მიუთითეთ ის ჯგუფები, რომლებიც კონკრეტულ სარგებელს (პირდაპირს ან ირიბს) მიიღებენ თქვენი პროექტის განხორციელების შემთხვევაში.*
პროექტის მიზანი (მაქსიმუმ 100 სიტყვა) - *წარმოადგინეთ რისი მიღწევა გსურთ. პროექტის მიზანს უნდა წარმოადგენდეს ისეთი სასურველი გარემოს ან პირობების შექმნა, რომელიც ლოგიკურ კავშირში იქნება (მიმართული იქნება) ზემოთ აღწერილ პრობლემასთან.*
ამოცანები (მაქსიმუმ 150 სიტყვა) - *უნდა მიუთითოთ რა ამოცანების შესრულებას ისახავთ თქვენს პროექტში იმისათვის რომ მიაღწიოთ მიზანს. მიზნის მისაღწევად შეიძლება დაისახოთ ერთი, ორი ან რამოდენიმე ამოცანა იმის გათვალისწინებით თუ როგორია თქვენი პროექტის სპეციფიკა.*

პროექტის განხორციელების არეალი და *ჩართული მხარეები* (მაქსიმუმ 50 სიტყვა) - *უნდა მიუთითოთ სად განხორციელდება პროექტი, ვინ იქნება პროექტში ჩართული მხარეები.*
განხორციელების გზები (მაქსიმუმ 300 სიტყვა) - *ამოცანების შესასრულებლად განხორციელების გზები არის პროცესი რომელმაც უნდა უპასუხოს კითხვებს: რა? სად? როგორ? ვინ? და ა.შ. (თანმიმდევრობით მიუთითეთ პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები. თითოეული ღონისძიებისთვის აღნიშნეთ თემა და მიზანი, ოდენობა, ხანგრძლივობა, მიზნობრივი ჯგუფები, მათი შერჩევის მეთოდი, მონაწილეთა რაოდენობა და სხვა)*

პროექტის განრიგი - *წარმოადგინეთ რომელი აქტივობა როდის გაკეთდება, რამდენი ხანი დაეთმობა პროექტის მიზნის მისაღწევად (შეავსეთ პროექტის სამოქმედო გეგმა იმ ამოცანებისა და აქტივობების მიხედვით, რასაც თქვენი პროექტი ითვალისწინებს. აქტივობები გაანაწილეთ პროექტის განხორციელების ვადის შესაბამისად)*

#	დასახელება	თვე I	თვე II	თვე III	თვე IV	თვე V	თვე VI	თვე VII	თვე VIII	თვე IX	თვე X

პროექტის მოსალოდნელი შედეგი *(მაქსიმუმ 50 სიტყვა) - წარმოადგინეთ პროექტის მოსალოდნელი შედეგი.*

დაინტერესებული მხარეები (მოკავშირეები) *(მაქსიმუმ 100 სიტყვა) - აღწერეთ გადასაწყვეტ პრობლემასთან დაკავშირებული დაინტერესებული მხარეები.*

.

პროექტის ბიუჯეტი *(მიუთითეთ მოთხოვნილი თანხა ევროში):*

დასახელება (მახასიათებელი)	ერთეული	ერთეულის რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ ღირებულება	პროექტიდან მოთხოვნილი თანხა	დაფინანსების სხვა წყარო
პროექტის სრული ბიუჯეტი						

პროექტის განმახორციელებელი პირების ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია.
განცხადების ფორმას უნდა ერთოდეს ამ პირთა პროფესიული რეზიუმე (CV).

სახელი გვარი	საკონტაქტო ინფორმაცია: მობილური/ ელ-ფოსტა
1.	
2.	

გისურვებთ წარმატებას!